



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების¹ შესახებ)

შპს ნერგები

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნონა ჩუბინიძე

წევრ(ებ)ი:

- ა) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- ბ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- გ) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
- დ) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
- ე) ნინო მარდიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
- ვ) თამარი კვანტიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
- ზ) ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
- თ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
- ი) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

¹ შენიშვნა: ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- ☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება
 - ☒ გეგმიური
 - ☐ არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ნერგები
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245439878

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	აღმაშენებლის ქ. №20ა
საფოსტო ინდექსი	0180
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://nergebi.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	nergebib@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	568696204

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 6 24 0000633427. 07.06.2024წ
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	19.06.2024წ

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი. აღმაშენებლის ქ. №20ა

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი. აღმაშენებლის ქ. №20ა
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი. აღმაშენებლის ქ. №20ა

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 19 ივნისს, შპს „ნერგებში“ შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ერთი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი) და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტი გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს- სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში

შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა, დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა გააკეთა ყველა იმ კურიკულუმის რევიზია, რომელიც ისწავლება დაწყებით საფეხურზე. მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეიცვალა შეფასება და უარყოფითად შეფასებული ინდიკატორები შესაბამისია

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
250	240

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და უარყოფითად შეფასებული ინდიკატორები შესაბამისია

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ხარვეზი
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ხარვეზი
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ხარვეზი
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)²

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი შუალედური მიზნები, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული თემის ფარგალში საკითხთან დაკავშირებულ კომპლექსური ბუნების დავალებას/შემოქმედებით პროდუქტს, დაურთეთ კურიკულუმის ჩარჩოშივე დავალების პირობაში. (მაგ მე-5 კლასის კურიკულუმში). ➤ რესურსების კუთხით: მიუთითეთ ძირითადი სახელმძღვანელო რესურსებში 1-ელ, მე-2, მე-5 კლასებში. ამოიღეთ თანდართული მატრიცის რესურსებიდან მითითებული ყველა სახელმძღვანელოს ჩამონათვალი და მიუთითეთ მხოლოდ თქვენი არჩეული ახლად გრიფირებული სახელმძღვანელოები (1-ლი, მე-2 ,მე-5 კლასები), დამატებით რესურსებში: გადაამოწმეთ ყველა წარდგენილი ბმული (მე-2 კლასის ჩარჩოში ბმულები არააქტიურია);

² გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		➤ კონტექსტ-მაგალითის კუთხით: დააკონკრეტეთ მოკლე აღწერით კონტექსტ-მაგალითი (მაგ ქეისი და ფოტომასალა) ➤ მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩო მოდიფიცირდეს წარდგენილი კურიკულუმის სხვა ჩარჩოების მსგავსად. მათემატიკა ➤ მეოთხე კლასის კურიკულუმი გაიწეროს ისეთივე ფორმაში, როგორც ზოგადად სკოლას აქვს გაწერილი დაწყებითი კლასების კურიკულუმი და აისახოს ყველა თემა, რომელიც მუშავდება შესაბამის საფეხურზე.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ მიუთითეთ საგნობრივ კურიკულუმში თემისათვის /საკითხისთვის დათმობილი სავარაუდო საათები. ➤ კურიკულუმის ჩარჩოთი წარმოდგენილი აქტივობები (1-ლი დამე-2 კლასი) დაუახლოვეთ ძირითად რესურსად არჩეული სახელმძღვანელოს სტრუქტურას/ აქტივობებს, კურიკულუმის ჩარჩოთი ან მატრიცებით წარმოდგენილ ძირითად აქტივობებს გარდა, საგნობრივ კურიკულუმში უნდა ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, დამატებითი ან მოდიფიცირებული აქტივობები, რაც უკავშირდება სასწავლო მიზანს. მსგავსი აქტივობები, რომელიც განხილულია და შეჯერებულია კოლეგებთან, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს, რეალურს, ხოლო სასკოლო კურიკულუმში შექმნის საკუთარ ორიგინალურ ნიშას. სახელმწიფო ენა ➤ სასურველია, სკოლამ კათედრაზე, საფეხურის ფარგლებში, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი (საგნობრივი კურიკულუმი), სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების /საკითხების/ კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის გათვალისწინებით. მათემატიკა

		➤ აქტივობები, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში შესაბამის სწავლის შედეგებზე გასასვლელად გაიწეროს კურიკულუმში კომპიუტერული ტექნოლოგიები ➤ სასურველია კათედრამ საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარების მიზნით.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ უსაფრთხოების წესები (ასევე გამაფრთხილებელი სიმბოლოები განმარტებებით) უნდა გაიკრას თვალსაჩინო ადგილას ლაბორატორიაში და კითხვადი უნდა იყოს ყველა მოსწავლისთვის, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ; ➤ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებულია დიდი ფანჯრები, თუმცა, აუცილებელია გამწოვი ფარის/კარადის მოწყობა; ➤ სადემონსტრაციო ან მოსწავლეთა მიერ ცდების/ექსპერიმენტების ჩასატარებლად მაგიდის ზედაპირი საჭიროების შემთხვევაში დაიფაროს ცეცხლგამძლე ფოლგით ან კერამიკული ფილით რეაქციის ჩატარების უბნებზე; ➤ ლაბორატორიაში ხანძრის საწინააღმდეგო უსაფრთხოების დამატებით უზრუნველსაყოფის მიზნით მოაწყვეთ ქვიშის ყუთი/ცეცხლგამძლე გაუმტარი ნაჭერი/ცეცხლმაქრი ბალონი. ➤ აგრესიული მჟავებისთვის და გამაღიზიანებელი ნაერთებისთვის გამოყავით კარადა საკეტიტ ან სეიფის ტიპის რკინის ყუთი; ➤ მოამზადეთ ეკიპირება - რამდენიმე ხალათი/წინსაფარი, სათვალე; ➤ მოამზადეთ პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი ანტიკეპტიკური, დამწვრობის საწინააღმდეგო და სხვა საჭირო მასალით; ➤ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის დატვირთვის განრიგში სჯობს, გათვალისწინებულ იქნას დაწყებითი საფეხურის გაკვეთილებიც და მიეთითოს მასწავლებლებთან ერთად კლასებიც; ➤ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აწარმოეთ ლაბორატორიული მასალების ინვენტარიზაცია და აღრიცხეთ გახარჯული და

		სამომავლოდ საჭირო მასალა (ჭურჭელი, რეაქტივები, ხელსაწყოები, პოსტერები, მოდელები და სხვა). ➤ კურიკულუმში თანდართული მატრიცები გაფილტრეთ და მიუთითეთ მხოლოდ ახლად გრიფირებული ძირითადი სახელმძღვანელო, სხვა სახელმძღვანელოებში (მიუხედევად გრიფირების წლისა და გამომცემლობისა) არსებული კონკრეტული მასალა გადამუშავეთ და აქციეთ რესურსად (მაგ; ტექსტი, ილუსტრაცია, მითითებული ვიდეორესურსი, ტესტი, დავალება, დამატებითი საკითხავი მასალა და სხვა) სახელმწიფო ენა ➤ სასურველია, ძირითადი სასწავლო რესურსის/გრიფირებული სახელმძღვანელოების განსაზღვრისას და დამტკიცებისას, მიეთითოს სახელმძღვანელოს გამოშვების წელი.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ წარმოდგენილ კურიკულუმებში სასურველია, ჩანდეს კონტექსტ-მაგალითის, მაგალითები შედარებისათვის ან რესურსების საკუთარი მაგალითები, რაც არსებობს სკოლის პრაქტიკაში. მსგავსი მიდგომა მასწავლებელს მისცემს დიფერენცირების, ინკლუზიური მიდგომის, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებით მეტი დაინტერესების საფუძველს, რაც აუცილებელია საბაზო-საშუალო საფეხურზე ბუნებისმეტყველების სწავლებისთვის. ესთეტიკური აღზრდა ➤ ხელოვნებაში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკითხება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, სასურველია სრული სურათი ჩანდეს.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ შემაჯამებელ დავალებებში (მე-5 და მე-6 კლასი) სჯობს, ავირიდოთ ისეთი კითხვების შეთავაზება, რომელიც მოითხოვს მხოლოდ დეკლარატიული ცოდნის შემოწმებას, მაქსიმალურად შევამციროთ ტესტში ან საერთოდ ამოვიღოთ არჩევითობლიანი დავალებები,

		გავზარდოთ/დავამატოთ შემაჯამელ სამუშაოში შემოქმედებითი სამუშაოს წილი, რომელშიც თავისთავად გამოჩნდება ბაზისური დეკლარაციული ცოდნა, დავალებების შინაარსი ორიენტირდეს პროცედურაზე, ანალიზზე, შექმნასა და მოსწავლის მიერ შეფასებაზე. ხშირად მივმართოთ მოსწავლეთა შეფასებას და თვითშეფასებას ამა თუ იმ ფორმით, რაც გაზრდის შეფასების ავთენტურობას. ➤ სჯობს, დაინერგოს სადიაგნოსტიკო შეფასებების წარმოება დაწყებით საფეხურზე მათ შორის ბუნებისმეტყველებაში (ცალკე საგნად ან ინტეგრირებული ბლოკის სახით), შემუშავდეს შეფასების მექანიზმი და შედეგების გაანალიზება/გამოყენება, აღნიშნული ცვლილებები კი შევიდეს რემედიაციის წესში, რომელსაც განსაზღვრავს სკოლა. სახელმწიფო ენა სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს კონკრეტული თემის/შემოქმედებითი პროდუქტის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო შედეგებთან მიმართებით.(საგნის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით) ფიზიკური აღზრდა და სპორტი ➤ შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ მესამე თაობის ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ განმსაზღვრელი შეფასების დროს შემაჯამებელი სამუშაოების კრიტერიუმების და მოსწავლის მიღწევის დონის აღწერისთვის სჯობს, დავადგინოთ, დავალებაში რა ხარისხობრივი მიმართება არსებობს სამიზნე ცნებებთან და/ან ასახეთ საფეხურის შედეგები შერჩეულ კრიტერიუმებთან. კომპიუტერული ტექნოლოგიები ➤ კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემუშავდეს დავალების მიზნის შესაბამისად და შეფასება მიემართებოდეს საგნის კომპიუტერული ტექნოლოგიების გრძელვადიანი მიზნებისკენ.

ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ელექტრონული რესურსები (მათ შორის დაწყებითი საფეხურისათვის გათვლილი) შესაძლოა, ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემებში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს, გაზრდის ინკლუზიურობის ხარისხს და შესძენს უნიკალობას სასკოლო კურიკულუმს.
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ სასურველია, დამატებითი რესურსების ჩამონათვალში, რაც წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ, გაიმიჯნოს დაწყებითი საფეხურის რესურსები, წარმოდგენილმა რესურსებმა გაიაროს ვერიფიკაცია სკოლის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ. მათემატიკა ➤ 2024-2025 სასწავლო წლისათვის სკოლამ უზრუნველყოს დამატებითი რესურსების ვალიდაცია
ინდიკატორი N2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ დაწყებითების კათედრაზე 1-4 კლასებში მასწავლებლები ასწავლიან საგნებს კომბინირებულად, რაც იძლევა იმის საშუალებას, საგნობრივი სასწავლო მიზნები გაანალიზეს საგანთაშორის ჭრილში, დაიგეგმოს ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები, გაძლიერდეს კათედრათაშორისი კოორდინაცია დაწყებითების და საბუნებისმეტყველო კათედრებს შორის, გაზიარდეს პროფესიული გამოცდილება სკოლის ბაზაზე სემინარის, სამუშაო შეხვედრების თუ სხვა ფორმატის შეხვედრების ორგანიზებით. ➤ დაწყებითების კათედრაზე სადამრიგებლო და მასწავლებლის ანგარიშებში სასურველია, გამოჩნდეს, რა ჰქონდათ დაგეგმილი (საგნობრივში სასწავლო მიზნები, სადამრიგებლოში სასკოლო სასწავლო გეგმით დამრიგებლის უფლება/მოვალეობებიდან და მიზნებიდან გამომდინარე), რა შესრულდა და როგორ, რა ვერ

		შესრულდა და რატომ,შესრულებული სამუშაოს რეფლექსია და სამომავლო გეგმების მონახაზი.
--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ სასურველია, კურიკულუმის ყველა ჩარჩო ერთი ფორმატით იყოს წარმოდგენილი (მაგ. ქიმია მე-8 და მე-9 კლასი, სადაც არ ჩანს ძირითადი სახელმძღვანელო, კონტექსტ-მაგალიტები და მაგალითები შედარებისათვის). კურიკულუმის ჩარჩოს იქვე დაერთოს კომპლექსური ბუნების დავალების ამსახველი ტექსტი სტრუქტურის დაცვით (ბიოლოგია მე-7, მე-8 და მე-9).რესურსების გრაფაში უნდა აისახოს თემასთან/საკითხთა კავშირში კათედრის მიერ წარმოდგენილი დამატებითი რესურსები, მე-7 კლასში შეგიძლიათ დაამატოთ ბლოგის ლინკი დამატებითი რესურსებისათვის მოსწავლე/მასწავლებლისათვის.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ კურიკულუმებში (ქიმია, ბიოლოგია) სჯობს, აისახოს თემების მიხედვით სავარაუდო საათობრივი განაწილება, შეძლება მიეთითოს ე.წ.სარეზერვო საათებიც ➤ ძირითად აქტივობებს გარდა, საგნობრივ კურიკულუმში უნდა ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს, სასკოლო კურიკულუმს კი შესძენს უნიკალობას. ღონისძიებები, რომელიც უკავშირდება სასწავლო თემებს, აისახოს კურიკულუმში.მაგ; საგნის (ბიოლოგიის) მასწავლებლის ანგარიშში წარმოდგენილი ლაბორატორული თუ კვლევითი აქტივობები კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში აისახოს კურიკულუმში. სახელმწიფო ენა

		➤ სასურველია, სკოლამ კათედრაზე, საბაზო საფეხურის ფარგლებში, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი(საგნობრივი კურიკულუმი) , სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების /საკითხების/ კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის გათვალისწინებით. მათემატიკა ➤ აქტივობები, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში სწავლის შედეგებზე გასასვლელად გაიწეროს კურიკულუმში
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ უსაფრთხოების წესები (ასევე გამაფრთხილებელი სიმბოლოები განმარტებებით) უნდა გაიკრას თვალსაჩინო ადგილას ლაბორატორიაში; ➤ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებულია დიდი ფანჯრები, თუმცა, აუცილებელია გამწოვი ფარის/კარადის მოწყობა; ➤ სადემონსტრაციო ან მოსწავლეთა მიერ ცდების/ექსპერიმენტების ჩასატარებლად მაგიდის ზედაპირი საჭიროების შემთხვევაში დაიფაროს ცეცხლგამძლე ფოლგით ან კერამიკული ფილით რეაქციის ჩატარების უბნებზე; ➤ ლაბორატორიაში ხანძრის საწინააღმდეგო უსაფრთხოების დამატებით უზნუნველსაყოფის მიზნით მოაწყვეთ ქვიშის ყუთი/ცეცხლგამძლე გაუმტარი ნაჭერი/ცეცხლმაქრი ბალონი. ➤ აგრესიული მჟავებისთვის და გამაღიზიანებელი ნაერთებისთვის გამოყავით კარადა საკეტიტ ან სეიფის ტიპის რკინის ყუთი; ➤ მოამზადეთ ეკიპირება - რამდენიმე ხალათი/წინსაფარი, სათვალე; ➤ მოამზადეთ პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი ანტიკეპტიკური, დამწვრობის საწინააღმდეგო და სხვა საჭირო მასალით;

		➤ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის დატვირთვის განრიგში სჯობს, გათვალისწინებულ იქნას დაწყებითი საფეხურის გაკვეთილებიც და მიეთითოს მასწავლებლებთან ერთად კლასებიც; ➤ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აწარმოეთ ლაბორატორიული მასალების ინვენტარიზაცია და აღრიცხეთ გახარჯული და სამომავლოდ საჭირო მასალა (ჭურჭელი, რეაქტივები, ხელსაწყოები, პოსტერები, მოდელები და სხვა). სახელმწიფო ენა ➤ სასურველია, ძირითადი სასწავლო რესურსის/გრიფირებული სახელმძღვანელოების განსაზღვრისას და დამტკიცებისას, მიეთითოს სახელმძღვანელოს გამოშვების წელი.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ სკოლის ერთ-ერთი წარმატებული პროექტია მე-9 კლასის მონაწილეობით საერთაშორისო კონკურსის Technovation Girls ფარგლებში მიღწეული წარმატება, რაც შესაძლოა, იქცეს მოტივც კარგ მაგალითად, დაუკავშირდეს კონკრეტულ სასწავლო მიზნებს/უნარებს და აისახოს საგნობრივ კურიკულუმშიც.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ შეფასების სქემებში უდა აისახოს მიმართება შეფასების კრიტერიუმებსა და საფეხურის შედეგებს შორის. ➤ შემაჯამებელი სამუშაოების დავალებების პირობა სჯობს მეტად ორიენტირდეს მაღალ სააზროვნო უნარებზე, შემცირდეს ფაქტობრივი/დეკლარატიული ცოდნის გამოვლენაზე მიმართული კითხვები. შემაჯამებელ დავალებაში მაქსიმალურად შევამციროთ ან სრულად ამოვიღოთ არჩევით ბოლოიანი დავალებები, ასევე დავალებები, რომლებიც მოითხოვს უმცირესი მოცულობის (ერთი ან ორი დასახელება) პასუხებს. ➤ შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების ანალიზი სჯობს ერთი ფორმატით განხორციელდეს, თუ ვირჩევთ schoolbook -ის ანალიზის ფორმას, დასკვნის გრაფაში მივუთითოთ გამოკვეთილი პრობლემა როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ასევე კლასისთვის

		დამახასიათებელი და განზოგადებული, იქვე: პრობლემის აღკვეთისკენ მიმართული მასწავლებლის შემდგომი ნაბიჯები. სახელმწიფო ენა ➤ სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს კონკრეტული თემის/შემოქმედებითი პროდუქტის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო შედეგებთან მიმართებით.(საგნის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით) ფიზიკური აღზრდა და სპორტი ➤ შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ მესამე თაობის ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ შემაჯამებელი სამუშაოების კრიტერიუმების და მოსწავლის მიღწევის დონის აღწერისთვის სჯობს, დავადგინოთ სამიზნე ცნებებთან ხარისხობრივი მიმართება. ➤ შეფასების სქემა დააკომპლექტეთ შეაჯამებლის პირობასთან ერთად, მიუთითეთ პირობაშივე ქულები (მაგ.მერვე კლასი ბიოლოგიის შემაჯამებლის ნიმუში), აღნიშნული ქულები და შეფასების სქემა ხელს შეუწყობს შეფასების გამჭვირვალობას. ➤ შეფასების სქემაში კრიტერიუმების და ქულების განსაზღვრის შემდეგ, რანჟირება გაუკეთეთ მიღწევის დონეს - გაწერეთ, რა შემთხვევაში წეროთ ამა თუ იმ ქულას
ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ საბუნებისმეტყველოკათედრის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ელექტრონული რესურსები სასურველია,ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემებში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს, გაზრდის ინკლუზიურობის ხარისხს და შესძენს უნიკალობას. დამატებით რესურსად შესაძლოა, გამოიყენოთ როგორც საავტორო, ასევე მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსები/მოდელელები/სქემები,რისთვისაც

		კათედრამ/სკოლამ/მასწავლებელმა განსაზღვროს დამატებითი რესურსის საჭიროება და ვალიდურობა.
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ სასწავლო რესურსების მიმართ მოთხოვნები შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ცალკე დოკუმენტად, სად გაიწერება რა ხედვა აქვს აბუნებისმეტყველო კათედრას რესურსის მიმართ. მათემატიკა ➤ 2024-2025 სასწავლო წლისათვის სკოლამ უზრუნველყოს დამატებითი რესურსების ვალიდაცია
ინდიკატორი N2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ სასურველია, გაზიარდეს პროფესიული გამოცდილება კათედრის და კათედრათაშორის ფარგლებში და აისახოს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების გეგმაში, მიეცეს სისტემატური ხასიათი, შეირჩეს ფორმატი, გავრცელების არეალი, გასაჯაროების სახე და სხვა. გაიწეროს კათედრის სამოქმედო გეგმაში მოცემული კვირეულების თემატიკა, მონაწილე მხარეების მიზნების, პერიოდის, პასუხისმგებელი პირების მითითებით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ ყველა კურიკულუმი სასურველია, იყოს ერთნაირი ფორმატით და სტრუქტურით აგებული (მაგ ქიმიის კურიკულუმები, ფიზიკის მე-10 კლასის კურიკულუმი განსხვავებული ფორმატისაა); ➤ კურიკულუმის ჩარჩოში დაგეგმილი შუალედური მიზანი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ კომპლექსური ბუნების დავალებას/შემოქმედებით პროდუქტს, დაურთეთ იქვე, ჩარჩოს ქვევით (მაგ: ბიოლოგიის და ქიმიის კურიკულუმები)

		➤ მე-10 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში - გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი - შემცირდეს ცხრილის და ფოტის ზომა, რათა ხილული გახდეს ყველა გრაფაში მოქცეულ ინფორმაცია, შეივსოს კურიკულუმის ჩარჩო კონტექსტ-მაგალითებით და მაგალითებით შედარებისათვის 1-ელ თემაში, მეორე თემაში კომპლექსური დავალების გრაფაში "მიტოზი, უჯრედის გაყოფა" დასახელდეს პროდუქტი, მაგალითების შედარებისათვის გრაფაში გაიწეროს ვერბალურად, რა შედარებებია შერჩეული. მე-11 კლასში დაბალანსდეს კომპლექსურები თემების მიხედვით (1-ელ თავში საია, მეორეში არცერთი), მე-11 ფიზიკის კურიკულუმში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი - ბმულები ქართული შრიფტითაა გადმოტანილი. მათემატიკა ➤ საშუალო საფეხურზე მეათე კლასის მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილია შუალედური მიზნები, რომელიც წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს და ასევე წარმოდგენილია მატრიცა რაც მიუთითებს იმაზე რომ სკოლას აქვს გამოცდილება თემის ფარგლებში განსაზღვროს შუალედური მიზნები. სკოლას მიეცა რჩევა მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმებიც წარმოადგინოს იგივე ფორმატის ჩარჩოში იმავე მეთოდოლოგიით. შეუძლია იხელმძღვანელოს math.ge-ზე განთავსებული მასალით.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ იმ თემებში, რომლებშიც შუალედური მიზნები არ წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და დაგეგმილია ძირითადად წერითი შემაჯამებელი სამუშაოები, სჯობს, მოსწავლეებს შევთავაზოთ შემაჯამებელი სამუშაოების ისეთი ფორმატი, რომელიც მოსწავლეთა მხრიდან მოითხოვს დავალების შემოქმედებითად გადაწყვეტას და პროდუქტის შექმნას სხვადასხვა ფორმით. ➤ თემის ფარგლებში კურიკულუმებში სჯობს მიეთითოს სავარაუდო საათები

		➤ კურიკულუმის ჩარჩოთი ან მატრიცებით წარმოდგენილ ძირითად აქტივობებს გარდა, საგნობრივ კურიკულუმში უნდა ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები, ასევე სასწავლო თემებთან დაკავშირებული ღონისძიებები (მაგ: კათედრის დოკუმენტაციაში ურთიერდასწრების გრაფიკში ჩანს ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც რეფლექსიის შედეგად უნდა შეფასდეს და აისახოს გეგმებსა და/ან კურიკულუმებში) ამგვარი მოდიფიცირება საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს, სასკოლო კურიკულუმს კი შესძენს ორიგინალობას. სახელმწიფო ენა ➤ სასურველია, სკოლამ კათედრაზე, საშუალო საფეხურის ფარგლებში, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი (საგნობრივი კურიკულუმი), სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების /საკითხების/ კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის გათვალისწინებით. მათემატიკა ➤ აქტივობები, რომელსაც იყენებენ სწავლის შედეგებზე გასასვლელად გაიწეროს კურიკულუმში
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ უსაფრთხოების წესები (ასევე გამაფრთხილებელი სიმბოლოები განმარტებებით) უნდა გაიკრას თვალსაჩინო ადგილას ლაბორატორიაში; ➤ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებულია დიდი ფანჯრები, თუმცა, აუცილებელია გამწოვი ფარის/კარადის მოწყობა; ➤ სადემონსტრაციო ან მოსწავლეთა მიერ ცდების/ექსპერიმენტების ჩასატარებლად მაგიდის ზედაპირი საჭიროების შემთხვევაში დაიფაროს ცეცხლგამძლე ფოლგით ან კერამიკული ფილით რეაქციის ჩატარების უბნებზე;

		➤ ლაბორატორიაში ხანძრის საწინააღმდეგო უსაფრთხოების დამატებით უზნუნველსაყოფის მიზნით მოაწყვეთ ქვიშის ყუთი/ცეცხლგამძლე გაუმტარი ნაჭერი/ცეცხლმაქრი ბალონი. ➤ აგრესიული მჟავებისთვის და გამაღიზიანებელი ნაერთებისთვის გამოყავით კარადა საკეტიტ ან სეიფის ტიპის რკინის ყუთი; ➤ მოამზადეთ ეკიპირება - რამდენიმე ხალათი/წინსაფარი, სათვალე; ➤ მოამზადეთ პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი ანტიკეპტიკური, დამწვრობის საწინააღმდეგო და სხვა საჭირო მასალით; ➤ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის დატვირთვის განრიგში სჯობს, გათვალისწინებულ იქნას დაწყებითი საფეხურის გაკვეთილებიც და მიეთითოს მასწავლებლებთან ერთად კლასებიც; ➤ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აწარმოეთ ლაბორატორიული მასალების ინვენტარიზაცია და აღრიცხეთ გახარჯული და სამომავლოდ საჭირო მასალა (ჭურჭელი, რეაქტივები, ხელსაწყოები, პოსტერები, მოდელები და სხვა). სახელმწიფო ენა ➤ სასურველია, ძირითადი სასწავლო რესურსის/გრიფირებული სახელმძღვანელოების განსაზღვრისას და დამტკიცებისას, მიეთითოს სახელმძღვანელოს გამოშვების წელი.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მიზნით, სჯობს, საგნობრივ კურიკულუმებში/მატრიცებში პარალელურად აისახოს ალტერნატიული აქტივობები, მოდიფიცირებული აქტივობები, სკოლის მიერ შეთავაზებული ან მასწავლებლის მიერ ორგანიზებული რესურსები, რომლებიც განსაზღვრულია მასწავლებლის/კათედრის ანგარიშების, მასწავლებლის და მოსწავლის რეფლექსიების, მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე. საერთაშორისო კონკურსებში მიღწეული წარმატებები უნდა დაუკავშირდეს და აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში თუნდაც კონტექსტ-მაგალითების, მაგალითები შედარებისათვის ან

		რესურსების კუთხით. სწორედ მათი გააზრების საფუძველზე გაიზრდება დიფერენცირება, ინკლუზიური მიდგომის სპექტრი, მოტივაცია, შესაბამისად, განვითარდება სასკოლო კურიკულუმი.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ შეფასების სქემებში უნდა აისახოს მიმართება შეფასების კრიტერიუმებსა და საფეხურის შედეგებს შორის. ➤ შემაჯამებელი სამუშაოების დავალებების პირობა სჯობს მეტად ორიენტირდეს მაღალ სააზროვნო უნარებზე, შემცირდეს ფაქტობრივი/დეკლარატიული ცოდნის გამოვლენაზე მიმართული კითხვები. შემაჯამებელ დავალებაში მაქსიმალურად შევამციროთ ან სრულად ამოვიღოთ არჩევით ბოლოიანი დავალებები, ასევე დავალებები, რომლებიც მოითხოვს უმცირესი მოცულობის (ერთი ან ორი დასახელება) პასუხებს. ➤ შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების ანალიზი სჯობს ერთი ფორმატით განხორციელდეს,თუ ვირჩევთ schoolbook -ის ანალიზის ფორმას, დასკვნის გრაფაში მიუვითითოთ გამოკვეთილი პრობლემა როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ასევე კლასისთვის დამახასიათებელი და განზოგადებული, იქვე: პრობლემის აღკვეთისკენ მიმართული მასწავლებლის შემდგომი ნაბიჯები. ➤ გაასწორეთ ტექნიკური ხარვეზი ქიმიის მე-11 კლასის შემაჯამებელი წერის ანალიზში - (თარიღი 31.10.2024) სახელმწიფო ენა ➤ სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს კონკრეტული თემის/შემოქმედებითი პროდუქტის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო შედეგებთან მიმართებით.(საგნის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით) ფიზიკური აღზრდა და სპორტი ➤ შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ მესამე თაობის ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.

ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ შეფასების სქემაში კრიტერიუმების და ქულების განსაზღვრის შემდეგ, რანჟირება გაუკეთეთ მიღწევის დონეს - გაწერეთ, რა შემთხვევაში წერთ ამა თუ იმ ქულას
ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ საბუნებისმეტყველო ათედრის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ელექტრონული რესურსები სასურველია, ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემებში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს, გაზრდის ინკლუზიურობის ხარისხს და შესძენს უნიკალობას. დამატებით რესურსად შესაძლოა, გამოიყენოთ როგორც საავტორო, ასევე მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსები/მოდელები/სქემები,რისთვისაც კათედრამ/სკოლამ/მასწავლებელმა განსაზღვროს დამატებითი რესურსის საჭიროება და ვალიდურობა.
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ სასწავლო რესურსების მიმართ მოთხოვნები შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ცალკე დოკუმენტად, სად გაიწერება რა ხედვა აქვს აბუნებისმეტყველო კათედრას რესურსის მიმართ. მათემატიკა ➤ 2024-2025 სასწავლო წლისათვის სკოლამ უზრუნველყოს დამატებითი რესურსების ვალიდაცია
ინდიკატორი N2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ➤ სასურველია, გაზიარდეს პროფესიული გამოცდილება კათედრის და კათედრათაშორის ფარგლებში და აისახოს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების გეგმაში, მიეცეს სისტემატური ხასიათი, შეირჩეს ფორმატი, გავრცელების არეალი, გასაჯაროების სახე და სხვა. გაიწეროს კათედრის სამოქმედო გეგმაში მოცემული კვირეულების თემატიკა, მონაწილე მხარეების მიზნების,პერიოდის, პასუხისმგებელი პირების მითითებით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისი არაა.
სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეიცვალა საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნები და ინდიკატორი შესაბამისია.
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საგნობრივი კურიკულუმებით;
- ✓ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკებით;
- ✓ კომპლექსური დავალების ნიმუშებით;
- ✓ შემაჯამებელი სამუშაოებით;
- ✓ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზით;
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათებით;
- ✓ შეფასების ინსტრუმენტებით;
- ✓ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სამოქმედო გეგმა
- ✓ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ოქმები;
- ✓ დირექტორის მოადგილის სემესტრული ანგარიში;
- ✓ ხარისხის მართვის მენეჯერის 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრში გაწეული მუშაობის ანგარიში;
- ✓ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა გაკვეთილების გეგმები და რეფლექსიები
- ✓ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე შემუშავებული ურთიერთდასწრების განრიგი/ ურთიერთდასწრების ჩანაწერები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს; საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და უცხოური ენების კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასები), მასწავლებლები იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, თუმცა შესაბამისი კრიტერიუმები წინასწარ არ აქვთ გაწერილი. მოსწავლის შეფასების სისტემა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალებები არ არის ორიენტირებული სამიზნე ცნებებზე. პირველი უცხოური ენის შემთხვევაში ძირითადად წარმოდგენილია ექსელის ფაილები, რომელშიც არ ჩანს მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები. მიუხედავად იმისა, რომ საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია უცხოური ენების მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მეორე უცხოური ენის (რუსული ენა) შეფასების კრიტერიუმები, რუბრიკები და შემაჯამებელი დავალების

ანალიზის ფორმები შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც უკვე ძალადაკარგულია.

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისი არაა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეიცვალა საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნები და ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- საგნობრივი კურიკულუმებით;
- მასწავლებლებთან ინტერვიუებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და შეფასების სქემები, რომლითაც ვერ დგინდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესის სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. გამომდინარე იქედან, რომ სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები არ ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისი არაა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეიცვალა საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნები და ინდიკატორი შესაბამისია.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმებით;
- ინტერვიუს შედეგებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმებით;
- ინტერვიუს შედეგებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.
საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლებთან ინტერვიუებით.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკებით;
- კომპლექსური დავალების ნიმუშებით;
- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზით;
- კომპლექსური დავალების ბარათებით;
- შეფასების ინსტრუმენტებით;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

საგნობრივი ექსპერტების მიერ გაკეთებული საგნობრივი კურიკულუმების შეფასების დასკვნების მიხედვით ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის მეთოდოლოგიით;
